ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1787484

ნომერი: AR1288980

თარიღი : 24.02.2015

გაცემის თარიღი : 17.03.2015

გაცნობის თარიღი : 18.03.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქ.წამებული , /ბოჭორმის ქ. N50/18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პავლე ანთელავა პ/ნ 19001012244
- თბილისი გ.მუხაძის ქ. N 12

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში ხელმეორედ იქნა განხილული თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან შემოსავლების სამსახურის, ინფორმაცია საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ, აღნიშნულ ამონაწერში „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“ს ხელმაძღვანელი პირი დაფიქსირებულია მოქ. დიმიტრი ქიტოშვილი, ხოლო განცხადებით მოგვმართეთ თქვენ პავლე ანთელავამ. "მინდობილობა/რწმუნებულების" ველში აიტვირთოს მოქ. დიმიტრი ქიტოშვილის მინდობილობა ან აღნიშნული დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი ზომის მითითებით, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადაადგილების უსაფრთხოების თვალსაზრისით პანდუსის დახრისას გათვალისწინებული უნდა იქნას შესაბამისი ნორმები, მითითებული უნდა იქნას პანდუსის დახრის კუთხე და ქანობი არ უნდა აღემაყებოდეს 6% -ს. ზემოაღნიშნული ესკიზური ნახაზები შეგიძლიათ ატვირთოთ "ფაილის მიმაგრების" ველში.

აქვე გათვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.